ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ზ. ა.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 12.06.19

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 074/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დ. მ.-ის /სიითი N/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. მ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 12 ივნისს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ზ. ა.-მ და მოითხოვა ადვოკატ დ. მ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მის მიმართ მიმდინარეობდა სასამართლო განხილვა სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც შეეხებოდა დანაშაულის ჩადენის შესახებ სავარაუდო ცრუ დასმენის ფაქტს, სადაც მას თავიდან ადვოკატი დ. მ. იცავდა საზოგადოებრივი ადვოკატის სტატუსით, ხოლო შემდეგ ადვოკატი მ. გ.. ზ. ა.-ის განცხადებით, ადვოკატები სათანადოდ არ ახორციელებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, კერძოდ, სასამართლო პროცესზე ემხრობოდნენ ბრალდების მხარეს, არ ცდილობდნენ კლიენტის ინტერესების დაცვას, ემუქრებოდნენ ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში მოთავსებით და დასცინოდნენ.

1.3 გამომდინარე იქიდან, რომ საჩივრის ავტორმა ვერ მოახერხა ეთიკის კომისიის სხდომაში მონაწილეობა პირობების არქონის გამო, 2019 წლის 13 აგვისტოს ზ. ა.-ს ეთიკის კომისიამ მასთან შეთანხმებით წერილობით მიმართა საჩივარში აღწერილი გარემოებების დაზუსტების მოთხოვნით. 2019 წლის 26 აგვისტოს ზ. ა.-მ წარმოადგინა დამატებითი განცხადება, სადაც დააზუსტა მის მიერ 2019 წლის 12 ივნისს წარმოდგენილ საჩივარში აღწერილი გარემოებები.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, დ. მ. არ მოქმედებდა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, იცავდა პროკურორებს, უხეშად მიმართავდა კლიენტს და აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, კერძოდ, ადვოკატი ზ. ა.-ს მიმართავდა შემდეგი ფრაზებით: „აბა შენ დაგიცავ... გიჟი ხარ, მეორე ჯგუფის ინვალიდი“.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, სასამართლო დარბაზში, ადვოკატმა დ. მ.-მ ერთ-ერთ პოლიციელს ზ. ა.-ზე უთხრა, „გიჟია და სამი თვით უნდა გამოვკეტო საგიჟეთში“. საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული ფაქტის შესახებ აცნობა მოსამართლეს, რომელმაც ადვოკატი გააძევა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლო სხდომის დარბაზიდან გასული ადვოკატი დ. მ. კვლავ განაგრძობდა მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას და ამბობდა „უნარშეზღუდულმა მიჩივლაო.“

2. ადვოკატის პოზიცია:

ეთიკის კომისიამ 2019 წლის 13 სექტემბერს აცნობა ადვოკატ დ. მ.-ს, რომ სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიამ 2019 წლის 12 ივნისს მიიღო ზ. ა.-ის საჩივარი მის მიმართ და განუსაზღვრა ახსნა-განმარტების წარმოდგენის ვადა. ადვოკატ დ. მ.-ს ეთიკის კომისიისათვის ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი დ. მ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

3.2 ზ. ა.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 12 ივნისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2019 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ დ. მ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების

შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა არაფერი გააკეთა ზ. ა.-ის ინტერესების დასაცავად; ადვოკატმა კლიენტს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა - ემუქრებოდა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გამოკეტვით და დასცინოდა მას.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ დ. მ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი: „კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა.“

5.3 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები და იმოქმედოს კლიენტის ინტერესების შესაბამისად. ადვოკატი შებოჭილია კეთილსინდისიერების პრინციპით, რაც იცავს კლიენტს ადვოკატის მიერ მისი უფლებების ბოროტად გამოყენებისაგან. კლიენტს ხშირ შემთხვევაში არ აქვს უნარი დამოუკიდებლად გამოიყენოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები, ხოლო ადვოკატმა სამართლებრივი განათლებით, უნარ-ჩვევებით უნდა უზრუნველყოს კლიენტის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაცვა.

5.4 ადვოკატის მიერ მომსახურების კეთილსინდისიერად გაწევის ვალდებულება არის სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის ერთ-ერთი ძირეული ნორმატიული პრინციპის - კეთილსინდისიერების ვალდებულების (სსკ 8.3 მუხლი), რომელიც ამავდროულად სუბიექტური შემადგენელის მატარებელია, კერძო გამოხატულება. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, სამართალში არსებობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა კეთილსინდისიერების პრეზუმფცია (სუსგ №ას-589-2019 პარ. 28, შეადარეთ ასევე სუსგ: ას-899-1185-09, ას-1252-1181-2012; ას-23-23-2016). ეთიკის კომისიის აზრით აღნიშნული პრეზუმფცია სრულად გამოსაყენებელია ადვოკატის პროფესიულ საქმიანობის შეფასებისას: „საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად ასრულებს ხელშეკრულებით და პროფესიული წესებით დაკისრებულ მოვალეობებს, ეს განსაკუთრებით ნათელია იმ როლის გათვალისწინებით, რომელიც

ადვოკატს და ადვოკატის პროფესიას აქვს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.“ (N089/17, პარ. 6.3.8).

5.5 ,,ადვოკატის ვალდებულებაა განახორციელოს შესაბამისი და კვალიფიციური საადვოკატო მომსახურება. კლიენტის მიერ სასურველი სამართლებრივი შედეგის მიუღწევლობა, თავისთავად არ მიიჩნევა არაკვალიფიციურ წარმომადგენლობად. ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს.“ (ეთიკის კომისიის 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 062/15, პარ. 5.8).

5.6 საჩივრის ავტორის პრეტენზიები შეეხება ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედების ფაქტებს. დასახელებული საკითხის სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით ეთიკის კომისიამ 2020 წლის 01 სექტემბერს თავად მიმართა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს და გამოითხოვა ზ. ა.-ის სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები, სხდომის ოქმის ჩანაწერებთან ერთად.

5.7 საქმის მასალების შესწავლისას დადგინდა, რომ ადვოკატ დ. მ.-ს საჩივრის ავტორისათვის საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია გამოძიების ეტაპზე და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დასრულებამდე, რაც დასტურდება 2019 წლის 20 თებერვლის N ორდერით. ზ. ა.-ის მიმართ საქმის წარმოება მიმდინარეობდა დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენის ფაქტზე. 2019 წლის 20 თებერვალს ზ. ა. ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სსკ-ის 373-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში.

5.8 ეთიკის კომისიის მიერ გამოკვლეული მტკიცებულებების მიხედვით დასტურდება, რომ ადვოკატი დ. მ. ჩაერთო საქმის წარმოებაში როგორც საგამოძიებო, ისე სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპებზე. 2019 წლის 20 თებერვლის დადგენილება (N) პირის ბრალდების შესახებ ადასტურებს, რომ ზ. ა. ბრალდების შესახებ დადგენილებას გაეცნო ადვოკატ დ. მ.-ის თანდასწრებითა და მეშვეობით, რა დროსაც ადვოკატმა განუმარტა მისი უფლებები. ამის შემდეგ, 2019 წლის 20 თებერვლის შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ N ოქმით დასტურდება, რომ ადვოკატმა დ. მ.-მ საქართველოს შსს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლისგან მიიღო ბრალდების მხარის ხელთ არსებული სრული ინფორმაცია შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე, რომლის სასამართლოში წარდგენასაც აპირებდა ბრალდების მხარე. ადვოკატს ასევე გადაეცა წერილობითი მტკიცებულებების ასლები - სულ 92 მტკიცებულება.

5.9 ადვოკატი დ. მ. აქტიურად მონაწილეობდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 20 თებერვლის სასამართლო პროცესშიც, სადაც მიმდინარეობდა საქმის განხილვა ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე (საქმე N10/დ-74-19). ადვოკატი არ დაეთანხმა პროკურორის შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების

სახით გირაოს - 5000 (ხუთი ათასი) ლარის განსაზღვრის თაობაზე და მოითხოვა გირაოს თანხის შემცირება. სასამართლომ გაითვალისწინა დაცვის მხარის პოზიცია და ბრალდების მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა ცვლილებით, კერძოდ, გირაოს თანხად განისაზღვრა 2000 (ორი ათასი) ლარი. ადვოკატი დ. მ. ამის შემდეგაც განაგრძობდა კლიენტის ინტერესების დაცვას. 2019 წლის 02 აპრილის ოქმი N შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ ადასტურებს, რომ ადვოკატმა ოზურგეთის რაიონული პროკურატურიდან მიიღო ინფორმაცია ბრალდების მხარის ხელთ არსებული შესაძლო მტკიცებულებების შესახებ, რომელთა წარდგენასაც აპირებდა ბრალდების მხარე წინასასამართლო სხდომაზე და საქმის უკეთ შესწავლისა და სტრატეგიის განსაზღვრის მიზნით მოიპოვა დასახელებული შესაძლო მტკიცებულებების ასლები და სასამართლოში დასაკითხ პირთა სია. ადვოკატი ესწრებოდა 2019 წლის 12 აპრილის ოზურგეთის რაიონული სასამართლოს წინასასამართლო სხდომას (საქმე N1-112-2019), სადაც ადვოკატ დ. მ.-ის აცილება მოითხოვა ზ. ა.-მ. ადვოკატი ესწრებოდა 2019 წლის 19 აპრილის ოზურგეთის რაიონული სასამართლოს წინასასამართლო სხდომასაც, სადაც დაკმაყოფილდა საჩივრის ავტორის შუამდგომლობა. აცილების შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემდეგ დ. მ.-მ შეწყვიტა ზ. ა.-ისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევა, რის შემდეგაც საჩივრის ავტორს დაენიშნა საზოგადოებრივ ადვოკატად - მ. გ..

5.10 საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად დასტურდება, რომ ადვოკატმა დ. მ.-მ კლიენტის ინტერესების დასაცავად განახორციელა სხვადასხვა საპროცესო მოქმედებები. ადვოკატმა განუმარტა კლიენტს მისი უფლება-მოვალეობები; ბრალდების მხარისაგან მიიღო ბრალდების მხარის შესაძლო მტკიცებულებები; ადვოკატი ესწრებოდა სასამართლო სხდომებს და კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით აყენებდა შუამდგომლობებს. რაც შეეხება ადვოკატის მიერ კვალიფიციური იურიდიული მომსახურების ფარგლებში განხორციელებულ თითოეულ მოქმედებას, ეთიკის კომისიამ 2018 წლის 26 ივნისის N083/18 საქმეში აღნიშნა, რომ თითოეული ასეთი მოქმედება წარმოადგენს სამართლებრივი სტრატეგიის ნაწილს. ის დაკავშირებულია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის შედეგთან, რომელიც ეფუძნება მის პროფესიულ გამოცდილებას და კვალიფიკაციას. გაწეული იურიდიული მომსახურების სრულფასოვანი შეფასებისთვის საჭირო იქნებოდა ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიერ საქმის წარმოების მიზნით განხორციელებული თითოეული მოქმედების ხარისხის შეფასება, რისი უფლებამოსილებაც ეთიკის კომისიას არ გააჩნია. ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობიდან გამომდინარე ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. კოლეგია ვერ მიუთითებს ადვოკატს რომელი საპროცესო მოქმედების განხორციელება იქნებოდა კლიენტის ინტერესებისთვის უკეთესი, როგორ შეიძლებოდა უკეთ დასაბუთებულიყო საპროცესო დოკუმენტი ან სამართლებრივი დასკვნა და რა სავარაუდო გავლენას იქონიებდა აღნიშნული საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე.

5.11 საპროცესო კოლეგია ვერ შეაფასებს ადვოკატ დ. მ.-ის მიერ გაწეული იურიდიული მომსახურების ხარისხს, მაგრამ მის მიერ შესრულებული მოქმედებები აკმაყოფილებს პროფესიული ქცევის სტანდარტს - კლიენტის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაცვას.

5.12 ეთიკის კომისიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის მეორე პრეტენზიაზე, რაც ეხებოდა ადვოკატ დ. მ.-ის მიერ კლიენტისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტებს. ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილებაში №057/10 აღნიშნა, რომ „ადვოკატის მოქმედება შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. შესაბამისად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კანონითა და ეთიკის კოდექსის სტანდარტებით, რომ მისი პროფესიისადმი ნდობას საფრთხე არ შეექმნას საზოგადოებაში“.

5.13 ადვოკატის მხრიდან კლიენტის სავარაუდო სიტყვიერი შეურაცხყოფა კლიენტის სამტკიცებელია. მან უნდა წარმოადგინოს ისეთი მტკიცებულებები ან მიუთითოს კომისიას იმ მტკიცებულებების გამოთხოვაზე, გამოკვლევაზე, რაც შექმნის დასაბუთებულ ვარაუდს სადავო ქცევის ჩადენაზე. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ზ. ა.-ს გააჩნია პრეტენზია, რომ ადვოკატმა დ. მ.-მ მის მიმართ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ადვოკატთა ქცევის პრინციპები, ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი სწორედ საჩივრის ავტორს ეკისრება. მან უნდა შეუქმნას კომისიას დასაბუთებული ვარაუდი, რომ საჩივარში წარმოდგენილი სადავო მოქმედება ჩაიდინა ადვოკატმა დ. მ.-მ. მტკიცების ტვირთის განაწილებისას, ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2ბ/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“

5.14 ეთიკის კომისია ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებას №ას-872-830-2013, რომლის მიხედვითაც ,,საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ ელემენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც უტყუარად მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გარემოებაზე“.

5.15 ეთიკის კომისიამ დეტალურად შეისწავლა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მიერ გადმოცემული სისხლის სამართლის საქმის მასალები. ადვოკატ დ. მ.-ის მიერ კლიენტის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი აღნიშნული საქმის მასალებით არ დასტურდება. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი არ დადასტურდა ეთიკის კომისიის მიერ ოზურგეთის რაიონული სასამართლოდან მოპოვებული 2019 წლის 20 თებერვლის სასამართლო სხდომის, 2019 წლის 12 აპრილისა და 2019 წლის 19 აპრილის სასამართლო სხდომის ოქმების გამოკვლევის შემდეგაც. საჩივრის ავტორს, ახსნა-განმარტების გარდა, დამოუკიდებლად არ წარმოუდგენია შეურაცხყოფის მიყენების ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება ან არ მიუთითებია მოწმეებზე, შესაბამისად კლიენტისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება ვერ დგინდება.

5.16 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ საქმის მასალებით არ დგინდება ადვოკატის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის დარღვევა.

5.17 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტით, 32-ე და 33-ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-5-მე-6 პუნქტებით, მე-19, 27-ე, 28-ე, 30-ე, 31-ე მუხლებით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე #074/19 ადვოკატ დ. მ.-ის /სიითი #/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/